ალლა გოლოვნია

ფილოლოგიის დოქტორი (გერმანიკული ენები), ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (ლინგვისტიკისა და სოციალური კომუნიკაციების ფაკულტეტი, ინგლისური ენისა და თარგმანის დეპარტამენტი).

ალლა გოლოვნიას აქვს ინგლისური და უკრაინული ენების სწავლებისა და თარგმნის დიდი გამოცდილება, ინგლისური ფილოლოგიის სფეროში არაერთი პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორია.

2001 წელს დაასრულა ლინგვისტიკის ეროვნული უნივერსიტეტი (კიევი, უკრაინა), სადაც მიენიჭა ინგლისური ენის, უკრაინული ენისა და ლიტერატურისა და უცხოური ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია. 2008 წელს ალლა გოლოვნიამ დაიცვა დისერტაცია გერმანიკული ენების მიმართულებით. 2009 წელს დაასრულა კიევის ინვესტიციების მენეჯმენტის ინსტიტუტი და მიენიჭა მარკეტინგისა და PR-ის სპეციალისტის კვალიფიკაცია.

2011 წლიდან მუშაობს ასოცირებული პროფესორის აკადემიურ პოზიციაზე ეროვნულ საავიაციო უნივერსიტეტში.

ინტერესთა სფეროები: ლინგვისტიკა, კოგნიტიური ლინგვისტიკა, ენის კულტურული ასპექტები, კულტურათაშორისი საკითხები